შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 33544

29.12.2022

ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მეთოდური მითითების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“ მეთოდური მითითება თანდართული რედაქციით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მეთოდური მითითების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის N 7547 ბრძანება.
3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული მეთოდური მითითების შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კაკავა

სამსახურის უფროსი